დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33.
„08—05—“2018 წ. ოქმი N 8.

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის მარეგულირებელი წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა, დარგის სპეციალისტმა.
1.2. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს ფაკულტეტის საბჭომ, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.
1.3. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე და სილაბუსების/მოდულების ხარისხზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია მის მიერ წაკითხული კურსის სილაბუსის/ მოდულების ხარისხზე.
1.4. პროგრამის ხელმძღვანელი უზურნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელებას, სასწავლო გეგმის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებას, პროგრამის დაკომპლექტებას შესაბამისი მასწავლებლებით, დეკანთან შეთანხმებით, სილაბუსების მომზადების ორგანიზებას, საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის წარდგენას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე პროფესიული პროგრამების განხორციელების შესახებ.
1.5. პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: კოორდინირება გაუწიოს სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებას და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.
1.6. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში და მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში.
1.7. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია ეტაპობრივად წინასწარ მოდულების დაწყებამდე ერთი თვით ადრე მოამზადოს დოკუმენტი მოდულების საჭირო მასალებით უზრუნველსაყოფად და წარუდგინოს ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურს.
1.8. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მოდულის პედაგოგთან ერთად მოამზადოს მოდულის მიმდინარეობისას გახარჯული მასალების დოკუმენტი, რომელსაც გადასცემს აღრიცხვა ანგარიშგების სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის.

2. პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული მასწავლებელი

2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის დაწესებულებას ჰყავს სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
2.2. პროფესიული მასწავლებლების მიღება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე.

ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ;

2.3.შესაძლოა პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი.კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით.

2.4 შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით) განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით;

2.5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება წარმოადგენს ამ პროგრამის მასწავლებლებთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს;

2.6.პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნის საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

3. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

3.1. სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად. მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს, განსაზღვრავს მოდულის მასწავლებელი.

3.2. შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომლებიც ემსახურებიან სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას;

3.3. ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის,სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს.

3.4. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3.5. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული(კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

3.6. მოდულის სწავლისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

3.7. დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასებისა პროგრამის დასრულებამდე.

3.8. დაუშვებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების გარეშე, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

3.9. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

3.10. პროფესიული მასწავლებელი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის

ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით) შემდეგ განსათავსოს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

3.11. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

3.12. შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3.13. პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

3.14. ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებებით. მტკიცებულებები უნდა იქნეს დაცული და ინახებოდეს კვალიფიკაციის მინიჭებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად არქივში.

4. პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის წარმოება

4.1. პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყისს აწარმოებს ელექტრონულად;

4.2. მოდულის დასრულებისას პროფესიული მასწავლებელი ელექტრონული უწყისის ამობეჭდილ კრებსით ან ინდივიდუალურ ხელმოწერილ ვარიანტს აბარებს ფაკულტეტის დეკანატში სპეციალისტს;

5. სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვა

5.1. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შესაძლებელია არსებობდეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;

5.2. მოდულის განმახორციელებელ მასწავლებელს ევალება პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შენახვა მოდულის დასრულებამდე;

5.3. ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამის სპეციალისტი მოდულის მასწავლებელისაგან, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისი ფაკულტეტის სპეციალისტი შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს სპეციალურ ჟურნალში.

5.4. შესაბამისი ფაკულტეტის სპეციალისტი პროგრამის დასრულებიდან 5 წლის შემდეგ უწყისებს სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბარებს არქივს.

შეფასების ინსტრუმენტის ფორმის ნიმუში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY

შეფასების ინსტრუმენტები

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი: –

პროგრამის სახელწოდება –

მოდულის განმახორციელებელი -

პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი _____

შეფასების ჩატარების თარიღი _____

სწავლის შედეგი	სწავლის შედეგი-
შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების ინსტრუმენტი	
შეფასების პროცესის აღწერა	გამოკითხვა ტარდება ----- გარემოში, ხანგრძლივობაა – საათი
შეფასების მტკიცებულება	
შეფასების სქემა	პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდება თუთითოეული კრიტერიუმის შესაბამისად მიიღებს მაქსიმალური შეფასების 51%-ს.

შესრულების კრიტერიუმები **<u>სწავლის შედეგი</u>**	**დადასტურდა**	**არ დადასტურდა**	**შენიშვნა**
1.			
2.			
3.			
4.			
5.			

მოდულის განმახორციელებელი:

საბოლოო შედეგი: ..... (სწავლის შედეგი დადასტურდა ან არ დადასტურდა)

დანართი 2

უწყისის ნიმუში

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება ----------
პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი

დანართი N1

სტუდენტის სახელი, გვარი: ----------
მოდული: ---------- კვალიფიკაციის დონე: ----------
კრედიტების რ-ბა: ----------

ს/შ N	შ/კ N	შეფასების თარიღი	შემფასებელი	ინსტრუმენტი	მტკიცებულება	შედეგი

შემფასებლის (შემფასებლების) ხელმოწერები: ----------